თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების შედარებით - ანალიტიკური მიმოხილვა

2017 - 2018 - 2019 წწ

ნაწილი I. შესავალი და დოკუმენტის სტრუქტურა

ანალიტიკური მიმოხილვის საგანს წარმოადგენს 2017-2019 წლების განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული განცხადებები და საჩივრები, რაც თემატურად დაკავშირებულია სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოების ეტაპებთან და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან.

წინამდებარე დოკუმენტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ნაწილი I. შესავალი და სტრუქტურა;
- ნაწილი II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები;
- ნაწილი III. სასამართლოში შემოსული განცხადებების/საჩივრების შედარებითი ანალიზი.

ნაწილი II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსულ დოკუმენტებში ერთიანდება ორი ძირითადი მიმართულება: შემოსული საჩივრები/განცხადებები, რითაც იწყება საქმის წარმოება და საქმის წარმოებაზე დამატებით შემოსული კორესპონდენცია (მათ შორის განცხადებები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ). ამასთან, შემოსული განცხადებებისა და საჩივრების პროცენტული მაჩვენებელი მათი თვისობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, თითოეული წლის მიხედვით, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:







2. თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მომართვიანობის მაჩვენებელი 2017 წლის მდგომარეობით, გამოიყურება შემდეგნაირად:



თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მომართვიანობის მაჩვენებელი 2018 წლის მდგომარეობით, გამოიყურება შემდეგნაირად:



ხოლო, ზემოაღნიშნული მონაცემი 2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, გამოიყურება შემდეგნაირად:



2.1 გარდა ამისა, 2017, 2018 და 2019 წლებში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული განცხადებების/საჩივრების მიღების შემდგომ, დამატებით შემოსული ფოსტის დოკუმენტაცია მოიცავს სხვადასხვა სახის საპროცესო დოკუმენტს, რომელთა განაწილებაც ხორციელდება განმხილველი კოლეგიის ან პალატის მიხედვით, ასევე შესაძლოა შემოსული კორესპონდენცია ეხებოდეს ადმინისტრაციულ დონეზე გადასაწყვეტ საკითხებს. შემოსული დოკუმენტაცია შესაძლებელია დავაჯგუფოთ ქვემოთ მოცემული საერთო მახასიათებლების მიხედვით:

საქმეზე დამატებით წარმოდგენილი:

1. ხარვეზის შევსების შესახებ;
2. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ;
3. შეტყობინება გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ;
4. სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების შესახებ;

საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, აღსრულება:

1. საქმის მასალების გაცნობის, ასლების გადაღების შესახებ;
2. სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ;
3. სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ;
4. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაცემის შესახებ;

განცხადება

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

ადმინისტრაციული ორგანოს გადასაწყვეტი საკითხები:

1. შეცდომით შემოსული კორეპოსნდენცია;
2. იმიტირებული სასამართლო სხდომის გასამართად დარბაზის გამოყოფის შესახებ;
3. სხვა;

მომართვები:

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან;
- საგამოძიებო ორგანოებიდან განაჩენის აღსრულების შესახებ;
- საგამოძიებო ორგანოებიდან საქმის მიმდინარეობის ეტაპების შეტყობინების თაობაზე;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მსჯავრდებულის/ბრალდებულის სასამართლოში ეტაპირების შეუძლებლობის შესახებ;
- პირველი ინსტანციის სასამართლოდან ნივთიერი მტკიცებულების გადმოგზავნის თაობაზე;
- მომართვები სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან;

შეტყობინებები:

- პრობაციის ეროვნული ბიუროდან განაჩენის აღსრულების დაწყების/დასრულების შესახებ;
- აღსრულების ეროვნული ბიუროდან განაჩენის აღსრულების შესახებ;

მომართვები
ცნობები
შეტყობინებები

ცნობები:

- ბაჟის გადახდის შესახებ;

დაბრუნებული კორესპონდენცია:

- შეცდომით გაგზავნილი დოკუმენტების შესახებ;
- _ სხვა ადმ.ორგანოში შეცდომით შესული დოკუმენტების განსჯადობით გადმოგზავნის შესახებ;

2.2. ამასთან, ზემოაღნიშნული კორესპონდენცია განაწილებულია საგამოძიებო კოლეგიასა და პალატებში და 2017 წლის შემოსული ფოსტის განაწილების სტატისტიკური მონაცემი ამგვარად გამოიყურება:



2018 წლის შემოსული ფოსტის განაწილების სტატისტიკური მონაცემი:



2019 წლის (01.01.2019-20.12.2019) შემოსული ფოსტის განაწილების სტატისტიკური მონაცემი:



3. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტები მოიცავს სამივე პალატასა და საგამოძიებო კოლეგიაში შემოსულ ,,საჩივრებსა'' და ,,განცხადებებს'';

3.1. 2017-2019 წლების სტატისტიკური მონაცემი, საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების თაობაზე, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

3.1.1.2017 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრები და განცხადებები:

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განუხილველი საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	დაუმთავრებელი საჩივრების ნაშთი
სულ	_	1621	3	1618	_
აღკვეთის ღონისძიების შესახებ	_	1299	2	1297	_
საგამოძიებო მოქმედებები	_	207	1	206	_
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საქმეები	_	11	_	11	_
მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე საქმეები	_	79	_	79	_
პირის მოწმედ დაკითხვა გამოძიების დროს	_	4	_	4	_
იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა	_	1	_	1	_
საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობაზე მოსამართლის განჩინების გასაჩივრების შედეგებზე	_	20	_	20	_



3.1.2. 2018 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებები;

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განუხილველი საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	დაუმთავრებელი საჩივრების ნაშთი
სულ	_	1585	3	1582	_
აღკვეთის ღონისძიების შესახებ	_	1322	_	1322	_
საგამოძიებო მოქმედებები	_	164	1	163	_
დევნის დაწყების მოთხოვნა ან დევნის გაჭიანურება	_	2	_	2	_
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საქმეები	_	11	1	10	_
მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე საქმეები	_	51	1	50	_

პირის მოწმედ დაკითხვა გამოძიების დროს	_	2	_	2	_
იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა		7	_	7	_
საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობაზე მოსამართლის განჩინების გასაჩივრების შედეგებზე		26	_	26	_



3.1.3. მონაცემები 2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების შესახებ:

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განუხილველი საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	დაუმთავრებელი საჩივრების ნაშთი
სულ	_	2286	4	2282	_

აღკვეთის ღონისძიების შესახებ	_	1932	1	1931	_
საგამოძიებო მოქმედებები	_	303	2	301	_
დევნის დაწყების მოთხოვნა ან დევნის გაჭიანურება	_	1	_	1	_
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საქმეები	_	10	_	10	_
მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე საქმეები	_	1	1	_	_
იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა	_	4	_	4	_
საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობაზე მოსამართლის განჩინების გასაჩივრების შედეგებზე	_	35	_	35	_



3.1.4 სამივე წლის შედარებითი სტატისტიკური მონაცემი (კერძოდ: თითოეული წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე), საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრების განხილვის შესახებ, წარმოდგენილია შემდეგი სახით:



3.2. 2017-2019 წლების სტატისტიკური მონაცემი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების თაობაზე, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

3.2.1. 2017 წელს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	ნაშთი
სულ	381	1955	1745	590
სააპელაციო საჩივარი	347	1130	1044	433
სხვა საჩივარი	2	80	76	6
ა/გამოვლენილი გარემოებანი	32	745	626	151

3.2.2. 2018 წელს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	ნაშთი
სულ	590	2355	2425	520
სააპელაციო საჩივარი	433	1648	1583	498
სხვა საჩივარი	6	84	86	4
ა/გამოვლენილი გარემოებანი	151	623	756	18



3.2.3. 2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის სახე	საჩივრების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	განხილული საჩივრების რაოდენობა	ნაშთი
სულ	520	2222	2214	528
სააპელაციო საჩივარი	498	1966	1958	506
სხვა საჩივარი	4	85	84	5
ა/გამოვლენილი გარემოებანი	18	171	172	17



3.2.4. სამივე წლის შედარებითი სტატისტიკური მონაცემი (კერძოდ: თითოეული წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე), სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შესახებ, წარმოდგენილია შემდეგი სახით:



3.3. 2017-2019 წლების სტატისტიკური მონაცემი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების თაობაზე, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

3.3.1. 2017 წელს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	წინა წლის ნაშთი	შემოსული საჩივრების რაოდენობა	გადაეცა განსჯადობით	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	2466	7683	2	7492	2655
სააპელაციო საჩივარი	1327	2430	2	2113	1642
კერძო საჩივარი	410	1951	_	2001	360
განცხადება ა/აღმოჩენილ გარემოებათა გამო	9	228	_	226	11
განცხადება განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე	5	4	_	5	4
განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე	2	11	_	9	4
განცხადება გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ	6	14	_	20	_
საარბიტრაჟო საქმეები	707	3045	_	3118	634



3.3.2. 2018 წელს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	წინა წლის ნაშთი	შემოსული საჩივრების რაოდენობა	გადაეცა განსჯადობით	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	2655	8245	2	7536	3362
სააპელაციო საჩივარი	1642	3055	2	2915	1780
კერძო საჩივარი	360	1995	_	1909	446
განცხადება ა/აღმოჩენილ გარემოებათა გამო	11	1	_	11	1
განცხადება განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე	4	_	_	3	1
განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე	4	1	_	4	1
საარბიტრაჟო საქმეები	634	3193	_	2694	1133



3.3.3. 2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	წინა წლის ნაშთი	შემოსული საჩივრების რაოდენობა	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	3362	10108	6956	6514
სააპელაციო საჩივარი	1780	2799	2514	2065
კერძო საჩივარი	446	1837	1760	523
განცხადება ა/აღმოჩენილ გარემოებათა გამო	1	_	_	1
განცხადება განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე	1	_	1	_
განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე	1	_	1	_
საარბიტრაჟო საქმეები	1133	5472	2680	3925



3.3.4. სამივე წლის შედარებითი სტატისტიკური მონაცემი (კერძოდ: თითოეული წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე), სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შესახებ, წარმოდგენილია შემდეგი სახით:



	წინა წლის ნაშთი	შემოსული საქმე	დამთავრებული საქმე	საქმე გადაეცა განსჯადობით	დაუმთავრებელი საქმე
2017 წელი	2466	7429	7490	0	2405
2018 წელი	2655	7972	7854	2	2771
2019 წელი	3362	10108	6956	0	6514

3.4. 2017-2019 წლების სტატისტიკური მონაცემი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების თაობაზე, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

3.4.1. 2017 წელს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	გადაეცა განსჯადობით	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	1281	4105	1	3715	1670
სააპელაციო საჩივარი	1047	1986	1	1586	1446
კერძო საჩივარი	175	1114	_	1105	184
განცხადება ა/აღმოჩენილ გარემოებათა გამო	3	23	_	23	3
განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ	_	6	_	6	_
განცხადება გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ	3	13	_	15	1
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე	53	963	_	980	36



3.4.2. 2018 წელს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	გადაეცა განსჯადობით	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	1670	4473	1	4419	1723
სააპელაციო საჩივარი	1446	2429	1	2319	1555
კერძო საჩივარი	184	1138	_	1199	123
განცხადება ა/აღმოჩენილ	3	_	_	1	2

გარემოებათა გამო					
განცხადება გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ	1	_	_	1	_
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე	36	906	_	899	43



3.4.3.2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრები/განცხადებები:

საჩივრის (განცხადების) სახე	ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისისათვის	შემოსული საჩივრების რაოდენობა	გადაეცა განსჯადობით	დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა	ნაშთი
სულ	1723	4048	2	4135	1634
სააპელაციო საჩივარი	1555	2081	1	2171	1464
კერძო საჩივარი	123	945	1	942	125
განცხადება ა/აღმოჩენილ გარემოებათა გამო	2	_	_	2	_
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე	43	1022	_	1020	45



3.4.4. სამივე წლის შედარებითი სტატისტიკური მონაცემი (კერძოდ: თითოეული წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე), ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შესახებ, წარმოდგენილია შემდეგი სახით:



	წინა წლის ნაშთი	შემოსული საქმე	დამთავრებული საქმე	საქმე გადაეცა განსჯადობით	დაუმთავრებელი საქმე
2017 წელი	1281	3973	3527	1	1726
2018 წელი	1670	4313	4229	1	1753
2019 წელი	1723	4048	4135	2	1634

3.5. სტატისტიკური მონაცემი 2017-2019 წლების საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ:

3.5.1.2017 წლის საანგარიშო პერიოდის სტატისტიკური მონაცემი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ:

განცხადების სახე	შემოვიდა	გაიგზავნა განსჯადობით	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	ნაშთი

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	**426**	**1**	**324**	**33**	**67**	**1**



3.5.2. 2018 წლის საანგარიშო პერიოდის სტატისტიკური მონაცემი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ:

განცხადების სახე	**შემოვიდა**	**გაიგზავნა განსჯადობით**	**დაკმაყოფილდა**	**ნაწილობრივ დაკმაყოფილდა**	**არ დაკმაყოფილდა**	**ნაშთი**
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	**309**	**4**	**234**	**29**	**38**	**4**



3.5.3. 2019 წლის საანგარიშო პერიოდის სტატისტიკური მონაცემი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ:

განცხადების სახე	შემოვიდა	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	ნაშთი
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	**295**	**220**	**43**	**30**	**2**



3.5.2 ამასთან, 2017-2019 წლების საჯარო ინფორმაციის შედარებითი სტატისტიკური მონაცემი, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:



ნაწილი III. სასამართლოში შემოსული განცხადებების/საჩივრების შედარებითი ანალიზი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2017-2019 წლების საანგარიშო პერიოდების, საერთო დოკუმენტბრუნვის წილობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატასა და საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების მეტი წილი მოდის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ, დამატებით შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებზე (მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემა), რომლებიც ერთიან შემოსულ ფოსტაში აღირიცხება და 2017 წლის მონაცემებით - შეადგენს 72%-ს, 2018 წლის მონაცემებით - 73%-ს, 2019 წლის (01.01-20.12) მდგომარეობით - 70%-ს. ხოლო, საერთო დოკუმენტბრუნვის 27-30%-ს შეადგენს განცხადებები და საჩივრები, რითაც უშუალოდ იწყება საქმის წარმოება და ნაწილდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიასა და სამივე სააპელაციო პალატაზე. წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ზოგად წარმოდგენას ქმნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიასა და პალატებში დატვირთულობის მდგომარეობაზე და აჩვენებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის მომართვიანობის მაჩვენებელი სამივე წელს საკმაოდ მაღალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, ყოველწლიურად იზრდება და ყველაზე მაღალი მომართვიანობა 2019 წელს ფიქსირდება.

დოკუმენტის II თავში წარმოდგენილია, თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული, საქმისწარმოებასთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი, რაც თავის მხრივ, იძლევა შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას თითოეული პალატისა და საგამოძიებო კოლეგიის დატვირთულობის მდგომარეობის შესახებ.

საგამოძიებო კოლეგიაში 2019 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების/განცხადებების რაოდენობა აღემატება 2017 წლისა და 2018 წლის იმავე საანგარიშო პერიოდებში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობას, ხოლო განხილვის მაჩვენებელი სამივე წლის მონაცემით თითქმის 100%-ს შეადგენს. ყოველი წლის მონაცემებით, საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული საჩივრების უმეტესობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას შეეხება, საგამოძიებო მოქმედებების შესახებ საჩივრების რაოდენობა კი შედარებით დაბალია. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის ძირითადი დატვირთულობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო განხილვას უკავშირდება. ამასთან, საყურადღებოა ანალიტიკურ მიმოხილვაში წარმოდგენილი საქმეთა განხილვის მაჩვენებელი, კერძოდ: საგამოძიებო კოლეგიაში 2019 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების/განცხადებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია 2017-2018

წლების იმავე საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, თუმცა განხილვის მაჩვენებელი აღნიშნულ წლებში თითქმის 100%-ს შეადგენს.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებიდან უმეტესი წილი სააპელაციო საჩივარს წარმოადგენს. სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2017 წლის საანგარიშო პერიოდში განსახილველი სააპელაციო საჩივრების განხილვის მაჩვენებელი დაახლოებით 71%-ს შეადგენს, 2018 წლის საანგარიშო პერიოდში 76%-ს, ხოლო 2019 წლის საანგარიშო პერიოდში კი სააპელაციო საჩივრების განხილვის მაჩვენებელი 79%-ია. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ძირითადი დატვირთულობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით განხილვას უკავშირდებოდა. ამასთან, ანალიტიკურ მიმოხილვაში წარმოდგენილი, საქმეთა განხილვის საერთო მონაცემების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების/განცხადებების რაოდენობა აღემატება 2017 და 2019 წლებში შემოსული საჩივრების/განცხადებების რაოდენობას. საქმეთა განხილვის საერთო მაჩვენებელს რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ შემოსული საქმეების რაოდენობა 2018 წელში შედარებით მაღალია, განხილვის საუკეთესო მაჩვენებელი, სხვა წლებთან მიმართებით, სწორედ 2018 წელს ფიქსირდება, ხოლო 2017 და 2019 წლებში კი თითქმის თანაბარია.

სამოქალაქო საქმეთა პალატაში, 2017 წელს შემოსულ საქმეთაგან, 32-%-ს შეადგენს სააპელაციო საჩივარი, 25-%-ს კერძო საჩივარი, ხოლო 40-%-ს საარბიტრაჟო საქმე; 2018 წელს შემოსულ საქმეთაგან 37%-ს შეადგენს სააპელაციო საჩივარი, 24-%-ს კერძო საჩივარი, ხოლო 39%-ს საარბიტრაჟო საქმე; 2019 წელს შემოსულ საქმეთაგან 28%-ს შეადგენს სააპელაციო საჩივარი, 18%-ს კერძო საჩივარი, ხოლო 54%-ს საარბიტრაჟო საქმე; ამდენად, სამივე წლის მონაცემებით, სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებიდან უმეტესი წილი საარბიტრაჟო საქმეებს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ძირითადი დატვირთულობა საარბიტრაჟო საქმეებზე ნაწილდება. რაც შეეხება, სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2017 წელს შემოსულ საქმეთა განხილვის მაჩვენებელს: სააპელაციო საჩივრების შემთხვევაში - შეადგენს 56%-ს, კერძო საჩივრების შემთხვევაში - 85%-ს, საარბიტრაჟო საქმეების შემთხვევაში კი - 83%-ს. 2018 წლის მდგომარეობით, სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საქმეთა განხილვის მაჩვენებელი სააპელაციო საჩივრების შემთხვევაში შეადგენს 62%-ს, კერძო საჩივრების შემთხვევაში 81%-ს, საარბიტრაჟო საქმეების შემთხვევაში კი 70%-ს. 2019 წლის მდგომარეობით, სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსულ საქმეთა განხილვის მაჩვენებელი სააპელაციო საჩივრების შემთხვევაში შეადგენს - 55%-ს, კერძო საჩივრების შემთხვევაში - 77%-ს, საარბიტრაჟო საქმეების შემთხვევაში კი - 40%-ს. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა პალატაში განხილვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საარბიტრაჟო საქმეების შემთხვევაში ფიქსირდება, როგორც წინა წლების განხილულ საარბიტრაჟო საქმეებთან, ისე 2019 წლის სხვა

კატეგორიის სამოქალაქო საქმეებთან შედარებით. ამასთან, საყურადღებოა ანალიტიკურ მიმოხილვაში წარმოდგენილი საქმეთა განხილვის საერთო მაჩვენებელი, კერძოდ: სამოქალაქო საქმეთა პალატაში, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში განსახილველი საჩივრების/განცხადებების განხილვის მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 74%-ს, დაუმთავრებელ საქმეთა პროცენტული წილი დაახლოებით 26%-ს, 2018 წელს განხილვის მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 69%-ს, დაუმთავრებელ საქმეთა პროცენტული წილი დაახლოებით 31%-ს, ხოლო 2019 წლის საანგარიშო პერიოდში განხილვის მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 52%-ს, დაუმთავრებელ საქმეთა პროცენტული წილი დაახლოებით 48%-ს. ამდენად, მთლიანად სამოქალაქო საქმეთა პალატაში, 2019 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, განუხილველ საქმეთა რაოდენობა გაზრდილია და თუკი 2019 წლის სტატისტიკურ მონაცემებს დავაკვირდებით, ნაშთის მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით, უშუალოდ უკავშირდება ამავე წელს შემოსული-განუხილველი საარბიტრაჟო საქმეების გაზრდილ რაოდენობას.

2017-2019 წლებში, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საჩივრებიდან უმეტესი ნაწილი სააპელაციო საჩივარს წარმოადგენს და თუ ამავე პალატაში შემოსული სხვა კატეგორიის საქმეების რაოდენობას შევადარებთ, შესაძლებელია ითქვას, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ძირითადი დატვირთულობა სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო განხილვას უკავშირდება. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2017 წელში განსახილველი საქმეების საერთო რაოდენობის დასრულების მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 69%-ს, 2018 წელში - 72%-ს, ხოლო 2019 წელს კი - 74%-ს. აქედან გამომდინარე, 2017-2019 წლების შედარებითი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, შემოსულ-განხილულ საქმეთა რაოდენობა შედარებით მცირეა 2017 წელს, ხოლო შედარებით მაღალია 2018 წელს. თუმცა, სამივე წლის მონაცემით საქმეთა განხილვის მაჩვენებელი, ამავე წლის შემოსულ საქმეებთან მიმართებით, თითქმის თანაბარია და დაახლოებით 69%-74%-ს შორის მერყეობს.

ანალიტიკურ მიმოხილვაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასევე წარმოაჩენს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობას საჯარო ინფორმაციის გაცემის მიმართულებით და ქმნის საერთო სურათს სასამართლოს ღიაობის შესახებ. ხაზგასასმელია, რომ 2017-2019 წლებში აღინიშნებოდა საკმაოდ მაღალი აქტივობა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსათვის მომართვიანობის კუთხით. ამასთან, რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკურ მონაცემებს: 2017 წლის საანგარიშო პერიოდში - საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებების 76% დაკმაყოფილდა, 8% ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 16% არ დაკმაყოფილდა; 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებების - 76% დაკმაყოფილდა, 10% ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 12% არ დაკმაყოფილდა; ხოლო, 2019 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებების 74% დაკმაყოფილდა, 15% ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა, 10% არ დაკმაყოფილდა. ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი მოწმობს, საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პროცენტულ მაჩვენებელს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ, სამივე წელს, მაღალი სტანდარტით იქნა უზრუნველყოფილი.